



TBILISI HUMANITARIAN  
TEACHING UNIVERSITY

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი  
სამართლის ფაკულტეტის სხდომის

ოქმი № 10 / 2016

თბილისი

02 სექტემბერი 2016 წ.

სხდომის დაწყების დრო: 17.30  
სხდომის დასრულების დრო: 18.00

სხდომას ესწრებოდნენ:

- |                                |                                  |
|--------------------------------|----------------------------------|
| 1. პროფ. კახი ყურაშვილი;       | 7. ასოც. პროფ. მანანა ხვედელიძე; |
| 2. პროფ. თამარ ჩიტოშვილი;      | 8. უფრ. მასწ. მაია ივანიძე;      |
| 3. პროფ. არჩილ ლორია;          | 9. უფრ. მასწ. ნინო ნიჟარაძე;     |
| 4. პროფ. ლელა ნადიბაიძე;       | 10. უფრ. მასწ. შალვა ქურდაძე;    |
| 5. პროფ. მაკა სალხინაშვილი;    | 11. სტუდენტი ელენე კვერნაძე;     |
| 6. ასოც. პროფ. დავით გეგერიძე; | 12. სტუდენტი ალექსანდრე კუჭავა;  |

ქვორუმი: 11

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. კ. ყურაშვილი

სხდომის მდივანი: ეთერ ირემაძე

დღის წესრიგი:

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქის ელზამინ ალიზადეს (პასპორტი AZE N16039813) სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტად ჩარიცხვის თაობაზე (მომხს. პროფ. კ. ყურაშვილი).

მოისმინეს:

სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის 31 აგვისტოს № MES 1 16 01004505 (თჰუ-ში შემოსვლის თარიღი 02.09.2016) წერილის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 აგვისტოს №675 ბრძანების საფუძველზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით თჰუ სამართლის ფაკულტეტზე სწავლის უფლება მიეცა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეს ელზამინ ალიზადეს (პასპორტი AZE N16039813), რომელმაც 2016 წელს დაამთვრა ბარდას რაიონის სოფ. გარადაჯის საშუალო სკოლა (ატესტატი A №544063). მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პირადი განცხადების საფუძველზე მიზამშეწინილია იგი ჩარიცხოს თჰუ სამართლის

ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე, თუ ის ჩააბარებს სწავლების ენაში გამოცდას ან სხვაგვარად დაადასტურებს სწავლების ენის ფლობას.  
მომხსენებელმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ თავად ის წინააღმდეგია აზერბაიჯანის მოქალაქეების სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებად ჩარიცხვისა, ვინაიდან წინა პრაქტიკის გათვალისწინებით, როგორც წესი ისინი ვერ ახერხებენ ზოგჯერ ენის ბარიერის, ზოგჯერ სხვა მიზეზის გამო პროგრამის დამლევას, თუმცა სამწუხაროდ ის შებოჭილია რექტორატის პოზიციითა და სამინისტროს გადაწყვეტილებით.

აზრი გამოთქვა: პროფ. თ. ჩიტოშვილმა

კრწისყრის შედეგები: დაეთანხმა 10 წევრი, წინაარმდეგია 2 - კ. ყურაშვილი, ნ. ნიჟარაძე

გადაწყვიტეს:

1. ჩარიცხოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე ელზამინ ალიზადე (პასპორტი AZE N16039813) სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტად 0 კრედიტის აღიარებით, სწავლების ენის ფლობის წინასწარი დადასტურების პირობით;
2. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თქუ ვებ-გვერდზე;
3. ეთხოვოს თქუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

თავმჯდომარე:

კ. ყურაშვილი

მდივანი:

ე. ირემაძე

